ხაშურის მოამბე

№26(399) 17 ივლისი, ორშაბათი, 2023 წელი

მთავრობის სხდომა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 5 საკითხი განიხილეს.

სხდომაზე განიხილეს პროექტი, რომლის მიხედვითაც ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვს,სახელმწიფო დაფინანსებით,დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობა,საქართველოსთან ერთად,თურქეთის,ისრაელისა და ესპანეთის წამყვან კლინიკებში ექნება.

პროექტის წლიური ბიუჯეტი,დაახლოებით,30 მილიონი ლარია.

უცხოეთში სერვისის მიმწოდებლად,წინასწარი ბაზრის კვლევის საფუძველზე, უკვე შერჩეულია თანამედროვე სტანდარტების,საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე მაღალტექნოლოგიური კლინიკები,სადაც ერთ სივრცეში გაერთიანებულია მომსახურების სრული სპექტრი.

პროექტის ფარგლებში, პაციენტებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო სერვისები, მათ შორის, პროტონოთერაპია, რომელიც, გარკვეული ტიპის სოლიდური სიმსივნის სამკურნალოდ, უკანასკნელი სიტყვაა თანამედროვე მედიცინაში.

საკითხის განხილვისას ხაზი გაესვა,რომ ხარისხიან ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში, სახელმწიფოს პრიორიტეტია.

ჯანდაცვის სამინისტროსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები თვის ბოლომდე გაფორმდება, რის შემდეგაც ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვები, სამედიცინო მომსახურებას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ - ესპანეთში, ისრაელსა და თურქეთში საჭიროების მიხედვით მიიღებენ.

18 წლამდე პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა გარდამავალი ეტაპი იქნება,ვიდრე საქართველოში არ გაძლიერდება სერვისები და არ შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების,მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო ცენტრი, სადაც ხელმისაწვდომი იქნება სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი. ამ მიმართულებით, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს.

საინფორმაციო შეხვედრა მიწის სისტემური რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე დავით დევიძემ, თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ბოხაშვილმა და სააგენტოს წარმომადგენლებმა ხაშურის მუნიციპალიტეტში საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი - თენგიზ ჩიტიაშვილი, მოადგილე ზვიად ქურდაძესთან და და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარე და დაგეგმილ აქტივობებს დეტალურად გაეცნო.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ - დავით დევიძემ, შეხვედრის მონაწილეებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა ხაშურის მუნიციპალიტეტში მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარეობის შესახებ, სადაც მომდევნო თვეებში სრულად აიზომება მიწის ნაკვეთები.

მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი საქართველოს მასშტაბით, ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტში ხორციელდება (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა და ოკუპირებული ტერიტორიებისა).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2022-2024 წლებში გეგმა-გრაფიკის მიხედვით ზომავს და კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არეგისტრირებს მიწის ნაკვეთებს.

მიწის სისტემური რეგისტრაცია უფასოა.

"სხვა კონცერტი" - ახალ ბანაზე

ყოვლადუსამღვდელოესის, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოს სვიმეონის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, 2023 წლის 9 ივლისს, აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა "შავნაბადამ", ქალაქ ხაშურში, "ახალი ბანას" მიმდებარე ტერიტორიაზე, სოლო კონცერტი გამართა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო "ახალი ბანას" ახალგაზრდულმა გუნდმა.

ღონისძიება მიეძღვნა უწმინდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლის აღსანიშნავ საიუბილეო თარიღებს.

უპირველეს ყოვლისა, "ახალი ბანას" ადმინისტრაციის სახელით, დიდ მადლობას ვუხდით გენიალურ ანსამბლ "შავნაბადას", მის ხელმძღვანელს, ბატონ დავით ცინცაძესა და ანსამბლის თითოეულ წევრს, განსაკუთრებული დამოკიდებულებისთვის! მადლობა ახალგაზრდულ გუნდს, რომელთა ენთუზიაზმი გადამდები აღმოჩნდა ყველა იქ მყოფთათვის.

აღსანიშნავია, რომ წვიმიანი ამინდის მიუხედავად, რომლისთვისაც ყველანი მზად ვიყავით, ანსამბლების ერთსულოვნებამ, პროფესიონალიზმმა და განუზომლად დიდმა შემართებამ, უჩვეულო სიხარული და ენერგია მოჰფინა მიმდებარე ტერიტორიას.

განსაკუთრებით ვმადლობთ ძვირფას მსმენელს, რომელებმაც, მიუხედავად ყველაფრისა, დიდი ერთგულება და სიყვარული გამოხატეს ახალი ბანას და უწმინდესის მიმართ!

მეგობრებო, ჩვენ შევძელით და ერთად დგომით, გავათბეთ ერთმანეთის გულები!

საღამო იყო სიყვარულით სავსე, მომღერლები და მსმენელნი - ბედნიერები!სამშობლოს შუაგულიდან აჟღერებულ ეპოქალურ სასიმღერო ნიმუშებს, ბანსა და მოძახილს ყველა ერთად აძლევდა!

ახალი ბანაზე უამრავმა ძვირფასმა ადამიანმა მოიყარა თავი, როგორც ჩვენი ეპარქიის შვილებმა, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამობრძანებულმა სტუმრებმა.

საერთო სიხარული გაიზიარა ერმა და ბერმა,ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ხელოვანებმა, ცნობილმა მომღერლებმა, კომპოზიტორებმა,მათ შორის ჩვენთან ერთად იყო ახალი ბანას დიდი მეგობარი და ქომაგი, მსოფლიო ვარსკვლავი, ბარიტონი, გიორგი გაგნიძე.

შეგახსენებთ, რომ "ახალი ბანას" ფუნქცია, უპირველესად ერთობის სწავლებაა, ერთობის საზოგადოებასა და ინტიტუციებს შორის.

„ბანა" გვაერთიანებს - ამ იდეის გარშემო ჩვენ არაერთხელ გავერთიანებულვართ და ჩვენი ქვეყნისთვის მრავალი ღირსშესანიშნავი დღე გვიჩუქებია კიდეც. მომავალშიც არაერთი იქნება

მთავარი კი მაინც ისაა, რომ მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს, ნებისმიერ მდგომარეობასა თუ სიტუაციაში ერთმანეთი გავითვალისწინოთ და ასე ერთობით აღვასრულოთ ჩვენი სარწმუნოება.

ვისურვებთ, ყველას სულში გამოიდაროს!

გპირდებით, მალე შევხვდებით!

„ახალი ბანას" ადმინისტრაცია

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის № 32 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 26 755.5 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზ,ე 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით ირიცხებოდა 5 968.0 ათას ლარსი (აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 4 474.9 ათასი

ლარი, დელეგირებული - 65.2 ათასი ლარი მთავრობს განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი - 1 427.9 ათასი ლარი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ,2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 40 071.6 ათასი ლარით,რაც 13 316.1 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ - 17 335.3 ათასი ლარი შეადგინა,რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის - 100,61% ხოლო წლიური გეგმის 50,30%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში, გადასახადების გეგმა შესრულდა 104,28% (12 364.6 ათასი ლარი),მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი - 96,29%-ით,საწარმოთა ქონების გადასახადი - 164,41%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი, 3,52% , სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი -26,60% არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 7,55%.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 176,89%-ით (2 058.9 ათასი ლარი), მათ შორის: რენტა - 179,82%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 143,07%ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 81,84%-ით,შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან, 192,40%-ით, შემოსავალი შენობა-ნაგებობის იჯარიდან 107,36% ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 16,61%-ით.

2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 16,79%-ს (2 911.7 ათას ლარს), ,,საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 415.0 ათასი ლარი, მიღებულია – 207.6 ათასი ლარი.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის იანვრის - 2475 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 5 302 808 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (სოფელ ცოცხნარამდე და ქემფრამდე მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფელ ბრილში მისავლელი გზის მოასფალტება, ჩქაროსნული მაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოასფალტება და ქ.ხაშურში ტაბიძის ქუჩაზე არსებული სკვერის რებილიტაცია).

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის № 2476 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 759 065 ლარი (სოფელ ბულბულისციხეში გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის).

ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებემოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ ,, საქართველოს მთავრობის 2023 წლის №23 იანვრის №147 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 416 830,40 ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.

2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ,გადასახდელების საკასო შესრულებამ 15 637.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 52,78%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, სამი თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 67,96% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 14,87%), თავდაცვა - 54,57% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,52%), ეკონომიკური საქმიანობა - 43,81% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 40,54%), გარემოს დაცვა - 74,26% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 5,50%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 36,51% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 4,67%), ჯანმრთელობის დაცვა - 50,78% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 0,70%), დასვენაბა, კულტურა და რელიგია - 51,77% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 17,04),განათლება - 84,68% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 11,49%),სოციალური დაცვა - 82,31% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 5,49%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 73,79%-ით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები -49,58%-ით, სუბსიდიები - 83,42%-ით, გრანტები - 65,45%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 90,16%-ით, სხვა ხარჯები - 14,77%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 42,14%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე. 2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 3000 ლარი (ბრძანება 84.842315113- 31/05/2023) ქ.ხაშურში ძნელაძის ქუჩაზე არსებული საბიბლიოთეკო გაერთიანების ავარიული შენობის ჩამონგრეული ნაწილის გატანის და დაზიანებული სახურავის მოსახსნელად სპეც. ტექნიკის დაქირავების მიზნით.

ლელა მაჭარაშვილი,
მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის ხელმძღანელი

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25)

ორი წილი მოძღუართ-მოძღუარსა, მესამედი კ(ათალიკო)ზსა უნდა მოაბაროს, მიცუალებამდი სხუა სოფელი არა აქუს. და რ(ომელმა)ნცა მცხეთას დასაფლავებაი მოინდომოს ნიშანი კ(ათალიკო)ზისა არის.

და თუ ულუმბას დაესაფლაოს, ერთი ცხენი და ერთი წასახურავი კ(ათალიკოზ)ისა არის. და საწირავი და ნიშანი მოძღუარ-მოძღუარისა არის',,.

ამავე დროს ქუცნამ დააწესა აღაპები (მიცვალებულის მოსახსენებელი პურის ჭამა) ამის თაობაზე იგი წერს:

,,და აწ, მეცა მრწამს შ(ე)ნ მ(იე)რ დ(ე)დოფალო ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო, ვ(ითარმე)დ ძალგიც ყ(ოველი)ვე, რაიცა გენებოს, ვ(ითარც)ა დედასა ყ(ოველ)თა მე(უ)ფისასა.

ამისთვისცა გ(ევედრ)ები, რ(ათ)ა მეოხებითა შენითა წ[ა[რემართოს საქმე ესე ჩ(ე)მ მ(იე)რ ხელ-ყოფით და საუკუნოსა მას შექმნას შემწე დღესა ჭირისა ჩ(ემ)ისასა და სოფელსა ამას წარუმართოს პირმშოს(ა) ამის ძესა ჩემსა რამინს და ძმათა მისთა. და კ(უალა)დ გ(ევედრ)ები, კ(ურთ)ხ(ეუ)ლო ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო, რ(ათ)ა კ(ურთ)ხევა და წყალობა შ(ე)ნი იყოს ნათესავითი ნათესავამდე ჩ(უე)ნ ზედა, ა(მე)ნ.

და განვაჩინენ აღაპნი: ცხრა დღე თვით ჩემთვის,ექვსი დღე ძისა ჩემისა,რამინისათვის, ოთხი დღე მეუღლისა ჩემისა რუსათვის. ორი დღე რძლისა ჩემისა ანასთვის, ორი დღე მამისა ჩემისა ცუარისთვის, ერთი დღე ბიძისა ჩემისა რამინისათვის, ორი დღე პაპისა ჩემისა ქურციკისათვის, სამი დღე მეფის ალექსანდრესთვის, ორი დღე მეფის კონსტანტინესთვის. ერთი დღე დედოფლის ნათიასათვის, ორი დღე გიორგი მეფისა, ერთი დღე რუსუდან მეფისა, ერთი დღე ქურციკის მეუღლისა. ესე მტკიცე ჩვენი ნებითა და შეწევნითა შენითა, მან, ვინცა და რამანცა ადამის ნათესავმან ეს ჩუენი შეწირული და გარიგებული წარსრულთა და გარდაცუალებულთა მამათა და პაპათა და მომავალთა ჩუენთა და შვილთა და შვილისშვილთა სადღეგრძელოდ მოგვიშალოს, მათდამცა ნუქბად განიკითხვის ცოდვათა ჩუენთათვის, ამად არა ხელყოფად შლად და ქცევად სხუასა ნათესავსა კაცსა".

ქუცნა ამირეჯიბი განსაკუთრებით ხაზს უსვამს გარემოებას, რომ ,,არა შეგვიწირავს არა ნაწყალობელი მეფეთაგან, არა ნაძალადევი ამხანაგთაგან და მეზობელთაგან, არა ნაპარევი ქუეყნისაგან, რაიცა შევსწირე ნასისხლი და ნაჯილდოვები, ნამზითვი, ნასყიდი და საუპატიოდ აღებელი [არის]".

პაპის - ქუცნა ამირეჯიბის მსგავსად, ულუმბის ღვთისმშობლის განახლებულ მონასრტერს, თავის მხრივ, შვილიშვილმა - ალექსანდრე დიდმაც (1412 -1446) უბოძა შესაწირი:

,,...საქართველოს მეფეთაგან და არცა სხვათა მებატონეთაგან ღოღეთს არა ეთხოებოდეს თვინიერ ულუმბის ღვთისმშობლის სათხოვრის მეტი. და რაც პური მოვიდეს, უკლებლად ულუმბას უნდა შემოვიდეს. კვამლზედ თითოს ზურგიელი ბერთა და დედებსთ გაუყოფდენ და ქსენოთა. და რაც მორჩეს ხატს ჩაუყარონ და აღარ გარდაიხადონ შვიდი დიდის ხელმწიფის ალექსანდრესთვის.

- ეგრეთვე საღვალაშენს მართებს შვიდი მამული ხატის მუშაობა და რაც პური მოვიდეს ხატის წინ უნდა მოიღონ, საბატონო არა მართებს-რა. უნდა გამოიღებდეს თითო მამული კაბიწს ხვარბალს და თითოს ქერს. სტეფანაშვილს ექვსი, ევანიეზისშვილს ექვსი ლიტრი ზეთი, ექვსი მიტრაშვილს, ცხრა გულუაშვილს, ორი ოსნიძესა, ორი ძაღლიბანაშვილსა".

- ფრცას რაც ღალა მართებს და აიღების ნახევარი ბატონს და ნახევარი ხატს. ათი კოკა ღვინო კოკუაშვილს და თორმეტი კოდი პური ქოჩაშვილს და თოთხმეტი კოკა ღვინო, თოთხმეტი კოდი პური და სამი ზურგიელი მხეცაშვილს, ვენახის მეათედი ღვინო გამოიღოს და თორმეტი ლიტრი ზეთი"

- ქვემო ბრეძას მართებს ხოხორდიშვილის ათი კოდი პური, ათი კოკა ღვინო და შვიდი ლიტრა ზეთი. გაბრულაშვილს ცხრა კოდი პური, თექვსმეტი ლიტრა ზეთი, ქსენონაშვილს თექვსმეტი კოდი პური თექვსმეტი კოკა ღვინო და რვა ლიტრა ზეთი. მირზიაშვილს თექვსმეტი კოდი პური, თექვსმეტი კოკა ღვინო და რვა ლიტრა ზეთი. ხეჩატურაშვილს თექვსმეტი კოდი პური, თექვსმეტი კოკა ღვინო და რვა ლიტრა ზეთი"- ზემო ბრეძას ცხრაპურაშვილს თექვსმეტი ლიტრა ზეთი."

- წაღულისს მართებს გუთანი ხატისა რომ იმუშაონ. აღაშვილს თორმეტი კოდი პური, ოთხმოცი კოკა ღვინო, ორი ზურგიელი. მეცხორიძეს თორმეტი კოდი პური და თოთხმეტი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი. ბალუმაშვილს თორმეტი კოდი პური, ოთხმოცი კოკა ღვინო, ორი ზურგიელი. სეფნიაშვილს თორმეტი კოდი პური, სამოცი კოკა ღვინო, ერთი ზურგიელი, მიქელაშვილს თორმეტი კოდი პური, ოთხმოცი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი. ნავაძეს თორმეტი კოდი პური, ოცი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი. გენდობასშვილს ხუთი კოდი პური, ათი კოკა ღვინო, კუიჟინაძეს თექვსმეტი კოკა ღვინო და ერთი ზურგიელი, კენჭაშვილს ათი კოკა ღვინო, გიგიშვილს თორმეტი კოდი პური, ათი კოკა ღვინო და ერთი ზურგიელი, მამულზედ თვითო ჩარექი ერბო და ათ-ათი კვერცხი".

- სტკოცას რიკაძეს თორმეტი კოდი პური და ათი კოკა ღვინო, თავბერიძეს თორმეტი კოდი პური და ხუთი კოკა ღვინო, წყარო კვირისკაშვილს თორმეტი კოდი პური და ოცდასამი კოკა ღვინო, ხუთი ლიტრა ზეთი. დავითაშვილს ათი კოკა ღვინო და ექვსი კოდი პური. კოკავიძეს სამი ლიტრა ზეთი და მეორეს კოკავიძეს რვა ლიტრა ზეთი. ბასილაშვილს და მაჩხიაშვილს ათი კოდი პური."

- აბისს რაც მუშაობა გამოვა ნახევარი ხატს და ნახევარი ბატონს. ათი ლიტრა ზეთი წაკვაძეს და ორმოცი ლიტრა ზეთი სოფელს მართებს."

- ამვის რაც გუთანი გამოვა შეუვალად ხატს უნდა უმუშაონ, საბატონო არა არს-რა და ღალაც ხატის არის. და გარდა მისს შვიდს კომლს ორს ათ-ათი კოკა ღვიმო და ხუთს კომლს რვა-რვა კოკა ღვინო და ორი ზურგიელი."

აგრევე ნორაშენს ფარილუსს მიტიჩასშვილს ათი კოდი პური, ათი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი მართებს".

- გამოღმა ალს ყიზილაბეგისშვლს ოცდაორი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი, მასიმასშვილს თორმეტი ლიტრა ზეთი, სუთანას და მიშრიშასშვილს ცხრა ლიტრა ზეთი."

- ქინძათს მურაჩაშვილს ივანეზას თაქვსმეტი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი და ათი კოდი პური".

- ალს ურიასა დავითასშვილს ნაცვალს ორი ლიტრა სანთელი"

- უწლევს კვიშინასძეს იორდანაშვილს ხუთი კოდი პური და ხუთი კოკა ღვინო, ლიტრა სანთელი. ხარშილაძეს პეტრეს შვილს ხუთი კოდი პური , ხუთი კოკა ღვინო და ერთი ლიტრა სანთელი. იმავე ხარშილაძეს ონას და გონიარს ხუთი კოდი პური და ხუთი კოკა ღვინო, ერთი ლიტრა სანთელი. კახიძეს მამისთვალას ხუთი კოკა ღვინო და ხუთი კოდი პური ერთი ლითრა სანთელი. მეორეს დემეტრეს კახიძეს ხუთი კოდი პური და ხუთი კოკა ღვინო და ერთი ლითრა სანთელი. დევაძეს მახარას ხუთი კოდი პური და ხუთი კოკა ღვინო და ერთი ლიტრა სანთელი".

ალექსანდრე დიდის ეს სიგელი 1791 წლის 10 თებერვალს გადაუწერია დეკანოზ სიდამონს („გადაწერილს არს გუჯარი ეს, ხელითა დეკანოზის სიდამონისათა").

ქუცნა ამირეჯიბი, რომელმაც აღადგინა დაქცეული ულუმბის მონასტერი, სხვა აღმშენებლობითი საქმიანობაც გასწია ალის ფრონეს ხეობაში. ულუმბოსთან ერთად თემურ-ლენგის ურდოებმა მთელი ხეობა გაანადგურა. ხეობის აღმშენებლობა სწორედ მის სახელს უკავშირდება. ეს კარგად ჩანს ნაბახტევის მაგალითზე. მან ააშენა ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესია და მოახატვინა. ფრესკებზე წარმოდგენილია თვით ქუცნა, მისი მეუღლე რუსა, შვილიშვილი ალექსანდრე I დიდი და სხვები.

კედლის მხატვრობა სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ ივ. ჯავახიშვილის სიტყვები,როცა წერს,რომ თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ ,,...საერთო კულტურული დაქვეითების წყალობით ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობაც დადუმებული იყო. ეს კი არ არის გასაკვირველი,არამედ უფრო ის გარემოება, რომ, ამ ჯოჯოხეთური პიროზებისდა მიუხედავად, ქართველი ხალხი არ დაიღუპა და მაშინაც ცდილობდნენ დამტყდარი უბედურებისათვის თავი დაეღწიათ,რომ ქართული ხელოვნების ზოგიერთ დარგებში მაშინაც ყოფილან კიდევ ისეთი წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთი მაღალხარისხოვანი შემოქმედების ნიმუშები დაგვიტოვეს. ამის დასარწმუნებლად თუნდაც ულუმბოს ეკლესიის სარწმუნოებრივი და საერო შინაარსის იმდროინდელი კედლის მხატვრობისა და ალექსანდრე I დიდის ბრძანებით გაკეთებული ნაჭედი სურათებით შემკული დიდი ოქროს ჯვარის დასახელებაც კმარა, რომელნიც მათ შემქმნელ ხელოვანთა იშვიათ ნიჭსა და თავისი დარგის მაღალ ცოდნას უცილობლად ცხად-ჰყოფენ"

დიდი ისტორიკოსი ალის ხეობაში მდებარე ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესიის კედლის მხატვრობას ჩვენთვის საინტერესო ულუმბის ეკლესიის მხატვრობად მიიჩნევს. თუმცა ამ უნებლიე შეცდომაში ფაქტიური ამბის რეალური სურათი ჩანს. კერძოდ, მიუხედავად თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევებისა და მძიმე შედეგებისა, ქართველ ხალხში არ ჩამკვდარა კულტურის განვითარების შესაძლებლობები. უნდა შევნიშნოთ,რომ მოგვიანებით ულუმბის ეკლესიის შესწავლის შემდეგ,აქაც დადასტურდა კედლის მხატვრობის კვალი. ქუცნა ამირეჯიბი სახელმწიფო მოღვაწეა. გარდა იმისა, რომ მას სამეფო კარზე ამირეჯიბის სახელო უჭირავს, დიპლომატიურ საქმიანობასაც ეწევა. როგორც უკვე ითქვა, იგი სამეფო კარისაგან XIV საუკუნის 90 - იან წლებამდე სამჯერ იყო ელჩად წარგზავნილი კონსტანტინეპოლში. სამეფო კარის მხრიდან ეს დიდი ნდობის გამოხატულებაა და უნდა ვიფიქროთ სხვა, სახელწიფოებრივად მნიშვნელოვან საქმიანობაში ქუცნას აქტიური მონაწილეობა. სხვას, რომ თავი დავანებოთ, თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ გაპარტახებული ქვეყნის აღმშენებლობაში მისი მოღვაწეობაც საკმარისია.

მიღებულია, რომ ქუცნამ 1400-1415 წლებში აღადგინა ულუმბა, ნაბახტევი... ვფიქრობთ, ქუცნას ეს საქმიანობა თემურის შემოსევების დასრულების, 1403 წლის შემდეგ უნდა დაეწყო.

როდის გარდაიცვალა ქუცნა უცნობია. ვიცით მხოლოდ თვე და რიცხვი - 21 ოქტომბერი. წელი უცნობია. 1431 წლისათვის რომ გარდაცვლილია, ჩანს ალექსანდრე მეფის სიგელიდან სვეტიცხოვლისადმი. სიგელის ბოლოში ალექსანდრე მეფე კათალიკოზ თეოდორეს მიმართავს: „თქუენ, კათალიკოზი თეოდორე, ამას შემოგუიპირდი, რომე ოკდომბერსა ოცდაერთსა, ამირეჯიბისა მიცვალებისა დღესა, ყოველთა წელიწადთა წლითი-წლად ამირეჯიბისათუის ღ(მრ)თივ-აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა წინაშე კარგაღებული აღაპი გარდაიხდებოდეს ესრეთ, რომე რანიცა მცხეთას მღრდელნი და მონაზონნი იყუნენ მწირველნი, ამირეჯიბისათვის ჟ(ა)მსა წირევდენ და ტრაპეზს შვიდოდენ. და დედაბერთათუის და გლახაკთათუის კარი ღია იყოს და ვითარი ჯერ-იყოს, ეგევითარითა სანოვაგითა აღაპი გარდიხდებოდეს. ესე სადამდის ღ(მერ)თსა ენებოს და თქუენ ამოდ და უვნებლად ეგნეთ თქუენ,პატრონი კათალიკოზი თეოდორე, ნუ დააკლებთ და წლითი-წლად გარდიხდიდეთ. და შემდგომად თქუენსა ვინცა კათალიკოზნი დაიდგინენ, მათგანცა ყოველთა წელიწადთა ესრეთ გარდაიხდებოდეს და ნუმცავისგან დაგუაკლდების".

ცნობილი მოღვაწეა ქუცნას მეუღლე რუსა. მასზე ცნობები დაცულია „ქართლის ცხოვრებაშიც". ქართლის ცხოვრების მიხედვით იგი არის ალექსანდრე პირველი დიდის აღმზრდელი ბებია. მის სახელს უკავშირდება თემურ-ლენგის მიერ დანგრეული სვეტიცხოველის აღდგენის დაწყება,რომელიც შემდეგ ალექსანდრე დიდმა დაამთავრა. „ქართლის ცხოვრებაში" ამის თაობაზე ნათქვამია: „ამა მეფის ალექსანდრეს აღმზრდელმან მრავლის ჭირნახულობითა, ბებია მისმან ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე - ყოფილმან რუსა, ამან იწყო მრავლის ღუაწლითა და გულსმოდგინებით აღშენებად წმიდისა სუეტის-ცხოველისა. პირველად გამოკაზმა და იწყო შენებად სუეტთა საყდრისათა და ვერღარა სრულ ჰყო აღშენება მისი, ეგრეთ მიიცვალა ამიერ სოფლით. და ვითარ ეგულებოდა მეფესა ალექსანდრეს ეგრეთვე იგულა და იგულსმოდგინა: ოცდაოთხისა წლისამან იწყო აღშენებად სუეტისა ცხოველისა, და აწ ახლად აღაშენა და განავრცო და განასრულა"..

ე.ი. რუსამ სვეტიცხოვლის მხოლოდ სვეტების აღდგენა მოასწრო და გარდაიცვალა ამის შემდგომად მისი დაწყებული საქმე მისმა შვილიშვილმა ალექსანდრე დიდმა დაამთავრა: „...და ყოვლითა მოკაზმულობითა შეამკო და განაშუენა".

ქართლის ცხოვრების თანახმად რუსა 1413 წელს აღესრულა. ალექსანდრე პირველმა ამავე წელს რუსას მოსახსენებლად სვეტისცხოვლი შესწირა გლეხები და დააწესა აღაპი.

მეტად საყურადღებოა შინაარსის თვალსაზრისით ალექსანდრე მეფის 1413 წლის 20 სექტემბრის სიგელი სვეტიცხოვლისადმი. მასში კარაგდ ჩანს მეფის დამოკიდებულება თავისი აღმზრდელი ბებიისადმი. საოცარი სითბო,სიყვარული და მოფერება იგრძნობა, როცა მეფე მასზე ლაპარაკობს. ალექსანდრე დიდი არაერთხელ უსვამს ხაზს იმ დიდ ამაგზე, რაც რუსამ გასწია მასზე.

მეფე თავის ბებიის „სულისათუის სააღაპედ" სვეტიცხოვლს ატენში სწირავს თბილელასძეებს:

,,...ჩემი სამსახურებელად ყოველთა ქრისტიანეთა, დიდისა პატივისა და საფარველისა ახლისა იერუსალემისა, ცათა მობაძავისა, დედაქალაქისა საყდრისა მცხეთისა, და შევსწირეთ და მოვახსენეთ პატრონისა და ყოვლითურთ სულკურთხეულისა ბებიისა ჩემისა, ჩემზედა მრავალფერად ვალდადებულისა და ჭირნახულისა, რუსასა სულისათუის სააღაპედ ატენს თბილელასძენი: ლომი, გ(იორგ)ი, გაბრიელი, ტბელა და იოვანე, შვილნი და მომავალნი მათნი მათითა მამულითა, სრულად და უკლებად'

ალექსანდრე დიდი აღნიშნავს რუსას ღვაწლს სვეტიცხოვლის ტაძრის აღგდენის საქმეში, ამასთან სთხოვს კათალიკოზს მისი აღსრულების დღეს მისი სულისათვის აღაპი გადაიხადოს:

„ქართლისა ქათალიკოზი ელიოზ, ვითა მათსა სიწმიდესა მოღუაწეობასა მართებდეს, აგრე ყოვლითურთ უნაკლულოსა და კარღებულსა აღაპსა გარდაიხდიდეს დღესა ამბროსობასა პატრონისა და ყოვლად სანატრელისა სულკურთხეულისა ბები[ი]სა ჩემისა რუსასათუის, რომელმან გულსმოდგინედ და სურვილით ხელ-ყო სამსახურებელად და აღშენებად კათოლოკე საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისა, რომელი დააქციეს ტომთა აგარისთა ჟამსა მას, რომელი წარმოემართა ქუეყანით სამარყანით ბილწი იგი და მოძაგებული სახელით თემურ და მრავალნი საყდარნი და მონასტერნი დააქცივნა და თუით მათნიცა ბილწნი და შეურაცხნი სალოცავნი და მიზგით[თ]ანი დააქცივნა.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ვასილ მამულაშვილი - უნივერსალური ჟურნალისტი

ჩვენი გაზეთის თითქმის საუკუნოვან ისტორიაში ბევრი იყო ისეთი ჟურნალისტი, რომლებმაც რაიონის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ სფეროში ღრმა კვალი დატოვეს და, ფაქტობრივად, შექმნეს ხაშურის უახლესი ისტორია. დიახ, ისინი ჩვენი რაიონის მემატიანეები იყვნენ და ამ მატიანის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტებიც. ჟურნალისტთა ამ კოჰორტაში გამორჩეული ადგილი უკავია პიროვნებას, რომელიც მართალია დღეს სხვა მუნიციპალიტეტში მოღვაწეობს, მაგრამ ხაშური ყოველთვის რჩება მისთვის იმ წმინდა ადგილად,რომელიც მისთვის მუდმივი დღესასწაულია. ვასილ მამულაშვილი - ეს სხაელი ძალიან ახლობელია ჩვენი ქალაქისათვის და ამაში არაფერია გასაკვირი - მან წლები იმოღვაწა ჩვენი გაზეთის რედაქციაში და თავისი მრავალფეროვანი და ანალიტიკური პუბლიკაციებით ბევრს დაამახსოვრა თავი. ვიდრე ქვემოთ მის ღვაწლზე და დამსახურებაზე მოგითხრობთ, ერთი აუცილებლად უნდა ვთქვა: უიშვიათესია, როდესაც გვარი ასეთი თავსებადი და იდენტური იყოს პიროვნების ცხოვრებისეულ კრედოსთან.

„ჟურნალისტი მოფარიკავეა, რომელიც, დაშნით მრავალი ჩხვლეტის მიუხედავად, არ ტოვებს ასპარეზს. ალბათ, ამიტომ ავირჩიე ეს პროფესია. ვერ ვიტან ჩრდილში ყოფნას, უმოქმედობას. ბოლომდე ბრძოლაა ჩემი დევიზი. ჩემი ბიოგრაფია ჩემივე გამოცემული გაზეთებია, ჩემი ასაკი კი იმდენი წელია, რამდენი წერილიც გამომიქვეყნებია. ჟურნალისტს უნდა გტკიოდეს, ყველა ტალღას გულით იღებდე, ისე ვერ გადასცემ, ვერ მიიტან მკითხველამდე. არ არსებობს უფრო ძლიერი იარაღი ვიდრე პრესა. მე ჩემს ბობოქარ ცხოვრებაში სწორედ ამ იარაღით ვიბრძვი, - ასე ხედავს თავის პროფესიას და საკუთარ თავს პროფესიაში ჟურნალისტი ვასილ მამულაშვილი - ქარელის რაიონული გამოცემა „ქარელის მოამბის“ რედაქტორი.

ყოველთვის ვცდილობდი,უნივერსალური ჟურნალისტი ვყოფილიყავიო, ამბობს ბატონი ვასილი. მისი პუბლიკაციების თემატიკა მართლაც მრავალფეროვანია. ის გახლავთ რაიონული, რესპუბლიკური და ოთხი რეგიონული გაზეთის დამაარსებელი და რედაქტორი, სამი წამყვანი რესპუბლიკური გამოცემის რედაქციის თამანშრომელი, განყოფილების ხელმძღვანელი და კორესპონდენტი, არაერთი რადიო და ტელე გადაცემის პროექტის ავტორი და წამყვანი ჟურნალისტი. სათქმელის გადმოცემას ყოველთვის სხვადასხვა გზით და ფორმით ცდილობდა: საგაზეთო პუბლიკაციებით,თეატრის სცენიდან,სამეცნიერო და მხატვრული ნაწარმოებებით, თარგმანებით... მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფეროა პედაგოგიკაც. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არაერთი უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი.

თეთრი ფრინველი

თეთრი ფრინველი ზღაპრის გმირია, რომელიც გამოქვაბულში საგანძურს დარაჯობს. ორაზროვანი წინადადებით, გამოდი და თან მანდვე დარჩიო, უფლისწულმა ისე დააბნია მცველი, რომ ფრინველს გული გაუსკდა. უფლისწულის როლი, რა თქმა უნდა, უფრო მიმზიდველი იყო, მაგრამ, საბჭოთა სინამდვილეში, ჟურნალისტებს უმეტესად თეთრი ფრინველის როლი ერგებოდათ ხოლმე და ბატონმა ვასილმაც ამ პერსონაჟის სახელი აირჩია ფსევდონიმად.

მისი ჟურნალისტური საქმიანობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ გაზეთში დაიწყო. სტუდქალაქისთვის რადიოც დააარსა, სადაც სატირულ-იუმორისტული გადაცემა „კრაზანა“ მიჰყავდა. პირველი რეგიონული გამოცემა, რომლისთვისაც წერდა, გორის გაზეთი იყო. გორს მოჰყვა ხაშური, ქარელი... დღეს რაიონული გაზეთის „ქარელის მოამბის“ შეუცვლელი რედაქტორია. უშიშროების სამინისტროს გაზეთის „სრულიად არასაიდუმლოდ“ განყოფილების გამგე და შინაგან საქმეთა სამინისტროს „კრიმინალური ქრონიკის“ თანამშრომელიც გახლდათ. გამოსცემს იუმორისტულ გაზეთს „ციც“!

- კორესპონდენტობა ყველაზე საპატიო მისიაა. ჟურნალისტები ეძებენ გამორჩეულ ადამიანებს, გმირებს. ინტერვიუს პროცესში ამ ადამიანებთან ურთიერთობა ნამდვილი ხელოვნებაა. თავად ჟურნალისტებთან ინტერვიუს კი იშვიათად წერენ. მიხარია, რომ მე ამ გამონაკლისებს შორის მოვხვდი.

უკომპრომისო ბრძოლაში

ქარელში რომ ჩამოვედი, თმაზე თეთრი მხოლოდ ფრთები მქონდაო, ამბობს. არ მოისურვა თეთრ ფრინველად დარჩენა, რედაქციაში ჩაკეტვა, სავარძელში მოკალათება და პარტიული ხელმძღვანელების მაამებელი სტატიების წერა. ჯერ ქალაქს გაეცნო, რაიონის მეურნეობები ჩამოიარა, აღმოაჩინა,რომ ფერმაში ძროხების უმრავლესობა კოლმეურნეობისათვის მიბარებული კერძო საკუთრება იყო. ერთ-ერთი ძროხა მისი თანამშრომლისა აღმოჩნდა... „კრაზანას“ იდეის გაცოცხლება მოახერხა. მისი სატირულ-იუმორისტული სტატიების წყალობით ბევრს მოუწია თანამდებობის დატოვება... სჯეროდა,რომ სამართლიანობისთვის იბრძოდა და დღემდე ასეა. მისმა წერილებმა პარტიის ყურადღებაც მიიპყრო და ახალგაზრდა რედაქტორი ჟურნალისტთა საკავშირო ყრილობაზე მიიწვიეს:

- ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვღელავდი... ტრიბუნაზე ავედი თუ არა, მოვითხოვე, რეგლამენტი ორი წუთით გაეზარდათ. ჩემს კოლეგებს ეგონათ, იუმორით ვაპირებდი თავის გამოჩენას, მაგრამ ვთქვი ის, რასაც იმ დროს ალბათ ბევრი ფიქრობდა, მაგრამ თქმას ვერ ბედავდა: რაიკომის მდივნები და პარტიული ხელმძღვანელები ჟურნალისტის საქმიანობაში არ უნდა ერეოდნენ-მეთქი. რაიონული გაზეთის ახალბედა რედაქტორისგან ასეთ სითამამეს არავის ელოდა. დარბაზი გაინაბა,ყველა ედუარდ შევარდნაძის რეაქციას ელოდა,ის კი ადგილიდან წამოიწია და ტაშით დამაჯილდოვა. რაკი „ნებართვა მიიღო“,დაიგრგვინა დარბაზმაც.

დარბაზიდან გამოსული ადგილს ვერ ვპოულობდი. ჟურნალისტიკის ვეტერანები სიბრალულით მიყურებდნენ და ჩემს სამსახურიდან გათავისუფლებას წინასწარმეტყველებდნენ. „იქნებ დააწინაურონ კიდეც“,- ბედავდა თითო-ოროლა ოპტიმისტი. იმ საღამოს სასტუმროში სამი დელეგაცია მეწვია: აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის ჟურნალ-გაზეთებიდან და ჩემი სითამამით აღფრთოვანება გამოხატეს. დღეს იმ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვას, რომ ვკითხულობ, თითქოს არაფერია გამორჩეული, მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც მთელი სახელმწიფო აპარატი ჩართული იყო ჟურნალისტების მანქურთებად ჩამოყალიბებაში, ხმამაღალი განაცხადი აღმოჩნდა.

რაც უნდა დიდი წნეხის ქვეშ მოაქციონ ამ პროფესიის ადამიანები, მათ მაინც შესწევთ ძალა, ხმა მიაწვდინონ საზოგადოებას, ყურადღება მიაპყრონ მტკივნეულ პრობლემებს, უსამართლობას, უიმედობას ებრძოლონ, ხმამაღლა თქვან ის, რაც ბევრს აწუხებს და ხალხის ძალით ცვლილებებიც მოიტანონ - სწორედ ამითაა უნიკალური ჟურნალისტის საქმე. კომუნისტებს შეეძლოთ ჟურნალისტები, პოეტები, მომღერლებიც კი „თავიანთ ხმაზე“ ემღერებინათ, იმ პერიოდის ალბათ ვერც ერთი ხელოვანი ვერ იტყვის, რომ ამ „ანსამბლში“ არ



(დასასრული მე- 5 გვერდზე)

ვასილ მამულაშვილი - უნივერსალური ჟურნალისტი

(დასასრული)

უმღერია, თუმცა, ერთეულებმა შეძლეს, არ დაეკარგათ საკუთარი ხმა. მე თვითონ მოვახერხე თუ არა ეს, ჩემი მკითხველი უკეთ განსჯის.

მთის სპექტაკლი

მოუსვენარი ადამიანი ვარო, ამბობს. მისი შემოქმედებითი ენერგია ჟურნალისტიკის ჩარჩოებში ვერ ჩაეტია და საზოგადოებრივ საქმიანობასაც გასწვდა. სწორედ ვასილ მამულაშვილია სახალხო დღესასწაულ „ზაზაობის“ ორგანიზატორი და სცენარისტი.

- დღსასწაულის პირველი სცენარი 1981 წელს დავწერე. მას შემდეგ, ყოველი წლის შემოდგომაზე, ათასობით თვალანთებული ადამიანი ელოდა ორთუბანთან მთაზე აღმართული კოშკის ზარების ახმიანებას და უკვდავი „კარაბადინის“ ავტორის, საქართველოს მეფის ერთგული მხედართმთავრის, ზაზა ფანასკერტელი - ციციშვილის გამოჩენას, რომლის როლს წლების განმავლობაში გორის თეატრის მსახიობი ოთარ ქუთათელაძე ასრულებდა. ეს გახლდათ ნამდვილი „მთის სპექტაკლი“ მასობრივი ქორეოგრაფიითა და მიზანსცენებით, პერსონაჟების იუმორისტული ტექსტებით... ღონისძიების დასასრულს ქარელის საპატიო მოქალაქეებსაც ირჩევდნენ. „ზაზაობა“ ჩვენი ისტორიის, ლხინის, ხელოვნების დღესასწაული იყო.

სტუდენტები

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში,ფ. გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის ეკონომიკურ-იურიდიულ ინსტიტუტში, უნივერსიტეტ „ლეგია და კომპანიაში“ ლექციებს კითხულობდა ჟურნალისტიკის საფუძვლებზე, მის ისტორიაზე, ჟურნალისტიკურ ეთიკაზე, კინოჟურნალისტიკაზე, ტელე-რადიო და ფოტო-ჟურნალისტიკაზე, გაზეთის მხატვრულ გაფორმებასა და მედიაჟანრებზე. მისი სტუდენტები იყვნენ გიორგი სანაია, თიკა კანდელაკი. ბატონი ვასილის ქალიშვილი ეკა მამულაშვილიც ამავე აუდიტორიაში ისმენდა მის ლექციებს. „ინტერვიუ მამასთან“ - ეკას პირველი პუბლიკაცია, რომელიც ქარელის გაზეთში დაიბეჭდა - ამ სიტყვებით მთავრდება: „ჩემი ცხოვრების იდეალი შენ ხარ“.

თეატრი

ვასილ მამულაშვილის კიდევ ერთი დიდი სიყვარული თეატრია. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პარალელურად, თეატრალურ ინსტიტუტშიც სწავლობდა. რეჟისორმა არჩილ გომიაშვილმა სპექტაკლში „გზააბნეული“ მთავარ როლზე დაამტკიცა. რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატის წოდეც მიენიჭა.

- რეჟისორმა გამაფრთხილა,ჯერ გამოუცდელი ხარ და დარბაზში ნუ გაიხედავო,მაგრამ თავი ვერ შევიკავე - გაფრთხილებამ პირიქით იმოქმედა - და თვალი მაყურებლისკენ გამექცა. პირველ რიგში აკაკი ხორავა დავინახე და წავხდი...სპექტაკლის ბოლოს ამ ბუმბერაზმა მსახიობმა რეჟისორს უთხრა ჩემზეეს ბიჭი არ დაკარგოო. მეც მიზიდავდა მსახიობობა, თუმცა, საბოლოოდ ისევ თეთრი ფრინველის ამპლუა ვამჯობინე.

თეატრი დღემდე უყვარს, მისი პიესის „თეთრი ბორნის“ მიხედვით, გორის თეატრი სპექტაკლსაც დგამს. რეგიონული ტელევიზიების „ქარელისა“ და „თრიალეთის“ არაერთი თემატური პროექტის ავტორიც გახლავთ. კინოშიც დატოვა კვალი: თავისივე სცენარით გადაიღო სრულმეტრაჟიანი იუმორისტული ფილმი „ფეიხოა“. თარგმანებიდან გამორჩეულად უყვარს შილერის „ხელთათმანი“, ჩემს სულს ეხმიანებაო, ამბობს: „ადამიანი ყოველთვის უნდა იცავდეს თავის ღირსებას,სიყვარულშიც კი.“ ლექსების კრებულიც გამოსცა, თუმცა თავის პოეზიაზე იშვიათად საუბრობს.

- ზოგჯერ მიკვირს, ერთი ადამიანი ამდენ რამეს როგორ გავწვდი-მეთქი,მაგრამ კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი და ჩემს სათქმელს წიგნებით, ტელეგადაცემებით, საგაზეთო პუბლიკაციებით ბევრჯერ მოგიყვებით.

თამარ ციბალაშვილი

„თერხვი“

ალექსი ღონღაძეს ერთი ლექსი აქვს „ქვიშხეთს“, რომელიც ასე იწყება „მოფრინავს თერხვი, შმაგი სიმღერით“... მართლაც, ზამთარში, ღამით, დაახლოებით 3 - 4 საათზე დაიქროლებს, მერე ნელ - ნელა ძლიერდება, ხმაურს იწყებს, უსტვენს, კვნესის, „ხეთა რიგს, ხეთა ჯარს, რკალად ხრის“... თოვლს ხვეტავს და ნამქერს ქმნის. ზოგჯერ, თოვის დროს ქრის, გარეთ გამოდის, თოვლს სახეში გაყრის და თუ

გაუძელი, კარგი ვაჟკაცი ხარ. საღამოს საათებში შენელდება, თითქოს დაიღალაო, ჩადგება. ღამით კი ისევ გაიღვიძებს და დასვენებული ენერგიით იწყებს თარეშს.

ქვიშხეთლები, ამ ქარს, თერხვს უწოდებენ. სამ ან ცხრა დღეს ქრის და დიდად შემაწუხებელია. იმერელს უთქვამს: „მე იმის დედა ვატირე, ვისაც ქვიშხეთი უქია, ზაფხულში წყალი არ არის, ზამთარში ქარი და ბუქია.“

სულხან-საბა ორბელიანს თერხვის განმარტება არა აქვს, ოღონდ მიუთითებს, რომ „ზეფიროსისა და ჭალიკონის საშუალ თერხვ.“ მისივე განმარტებით, ზეფიროსი დასავლეთის ქარია.

სპეციალისტების განმარტებით, „თერხვი“ სამხრეთის ქარია. ჯავახეთის ზეგნიდან მოდის, გადმოივლის თრიალეთს, ბორჯომის ხეობას მარცხნივ მოიტოვებს, ახალდაბის რკინიგზის სადგურის ბოლოს, ყოფილ ინტერნატთან ჩამოდის და თითქოს ახალი ძალა შეიძინაო აქ, ამ ვაკე ადგილზე შლის ფრთებს. ახალდაბელები ამ ადგილს „ტრიალას“ ეძახიან. შემდეგ სარმანიშვილისკარს ზემოთ გადმოლახავს მტკვარს „მახვილოსის“ მთას და ტაშისკარში გადმოდის. მტკვარს მარჯვნივ მოიტოვებს.

ვახუშტი ბატონიშვილი ქვიშხეთის შესახებ გვამცნობს: „ზამთარ ცივი, ქარიანი“, იქვე აღნიშნულ ქარს „საჭიროს“ უწოდებს.

„თერხვის“ მეშვეობით ქვიშხეთში და ტაშისკარში ვაზი არ იყინება და სოფლები, ტრადიციულად, მევენახეობითაა ცნობილი.

ისმის კითხვა, რა ხდება? ცივი ქარი, როგორ ახდენს გავლენას მცენარეებზე?

ამ საკითხზე მივმართეთ ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორს, ჰიდრომეტეოროლოგს, კლიმატის ცვლილებათა ეროვნული პროგრამის კოორდინატორს, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ნალექთა რეგულირების ლაბორატორიის ხელმძღვანელს ბატონ ბაკურ ბერიტაშვილს. იგი სტუმრად იყო ქვიშხეთში, გია კაკიაშვილთან.

მისი განმარტებით, აქ, კონკრეტულად ქვიშხეთში და ტაშისკარში ადგილი აქვს ატმოსფეროში ტემპერატურის მატების ინვერსიას. დასავლეთ საქართველოდან, ლიხის ქედის დაბალ ადგილზე ქრის დასავლეთის ქარი. ე. წ. ფიონი (ლათ. „ფიონიუს“ - თბილი ქარი). იგი მთებიდან გადმოდის და ტაშისკარში უერთდება თერხვს. ფიზიკის კანონის თანახმად, ფიონი ცივ ჰაერს, რომ უერთდება მაღლა ასვლას იწყებს, მაგრამ ქვიშხეთში და ტაშისკარში ამას ვერ ასწრებს და თერხვი თბება და აქაურ მცენარეულობისთვის, როგორც ვახუშტი შენიშნავს, „საჭირო“ ხდება. ამის შედეგია, რომ ორივე სოფელში, ვენახთან ერთად, კარგად ხარობს: დაფნა, ხურმა, ლეღვი და სხვა.

კიდევ რა შეიძლება ითქვას თერხვზე?

ქვიშხეთიდან გაივლის სავანისუბანს და ტეზერს, გადადის სურამში და ცხინვალამდე აღწევს. თერხვს უთქვამს: „თუ ქვიშხეთში ვერ მნახე, ცხინვალში მეძებეო“.

კლიმენტი სუთიაშვილი



ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ღირსშესანიშნაობები. კოდისწყაროს ტბა.
ნ. კახეთელიძის ფოტო

ხაშურელი მოჭადრაკეების გუნდური პირველი ადგილი

ახლახანს, ქარელში, გაიმართა ოთარ დოლიძის სახელობის ტურნირი ჭადრაკში. ტურნირში გუნდური პირველობა გათამაშდა. ჩვენი მუნიციპალიტეტის მოჭადრაკეებმა მართლაც ბრწყინვალედ ჩაატარეს მთელი ტურნირი და 10 შესაძლებლობიდან ცხრა ქულით პირველობა არავის დაუთმეს. ალექსანდრე ჭადაშვილის შეგირდებმა ანდრია აკოფაშვილმა, ალექსანდრე აკოფაშვილმა, ანდრია კახიშვილმა და მარიამ მჭედლიშვილმა მართლაც შესანიშნავი შედეგი დადეს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ხაშურის მეორე გუნდში მოასპარეზე ცოტნე ჭადაშვილი, რომელიც ჯერ მხოლოდ 5 წლისაა და რვაწლიანებში ორი პარტია მოიგო.

ჩვენს მოჭადრაკეებს წელს, კიდევ მრავალ ტურნირზე აქვთ მიწვევა და იმედია, ისინი ყველგან ასეთივე წარმატებით იასპარეზებენ.

გ. გოგოლაძე

საინტერესო სიახლე ახალგაზრდებისთვის შიდა ქართლის რეგიონში!

შემოგვიერთდით,პირველ ინოვაციურ ბანაკში,რომელიც ორგანიზებულია კასპის ტექნოპარკისა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ფონდის მიერ.

ბანაკში ყოფნისას მონაწილეები გაივლიან შემდეგ საკითხებს:

შესავალი ტექნოლოგიებში და თანამედროვე პროფესიები ტექნოლოგიებში;

სამეწარმეო (entrepreneurship) უნარები და აზროვნება;

აზროვნების დიზაინი (Design Thinking);

პროდუქტის ბრენდინგი, მომხმარებელთან კომუნიკაციის საფუძვლები;

პროდუქტის ბაზარზე მორგება (product-market fit);

პროდუქტის განვითარება და მართვა - პროტოტიპი და MVP;

Arduino - შესაძლებლობები და რესურსები;

Smart City და Smart Village ტექნოლოგიები - საგნების ინტერნეტი (IoT – Internet of Things), მონაცემთა მეცნიერება, ხელოვნური ინტელექტი (AI), მანქანური სწავლება (ML), ღრმა დასწავლა (DL), ა.შ.

Pitching, Pitch Deck მომზადება;

შეხვედრები ტექნოლოგიურ სტარტაპებთან.

ასაკი:15-19წლამდე

ღონისძიების განმახორციელებელი კომპანია ქლევერტონი.

პროექტი თანადაფინანსებულია კასპის მუნიციპალიტეტის მერია , გორის მუნიციპალიტეტის მერია, ქარელის მუნიციპალიტეტის მერია და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია.

არ გამოტოვოთ ეს გამოცდილება, ეს არის შანსი ისწავლოთ, ითანამშრომლოთ და თქვენი იდეები რეალობად აქციოთ!

მონაწილეები შეირჩევიან სამოტივაციო წერილის კონკურსის საფუძველზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის სარეგისტრაციო - https://shorturl.at/afxEL

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.